სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 ოქტომბერი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/214

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ (2024 წლის საგაზაფხულო მიღება) საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 ოქტომბრის №1478070 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისათვის** (მე-5 დონე, 2024 წლის საგაზაფხულო მიღება) კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით **შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბადრი გეჩბაია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
გ) მანანა პატარაია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) რუსუდან ცინცაძე - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი” ხელმძღვანელი;
ე) ნინო თურმანიძე - ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროცესების მართვის განყოფილების უფროსი, დამსაქმებელი;
ვ) ნატალია კუნჭულია - ქ. ბათუმის №13 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;
ზ) მარინე ბეჟანიძე - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი” განმახორციელებელი პერსონალი, ქ. ბათუმის №16 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი.

2. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.

3. კომისიამ იმუშაოს **2026 წლის 12 ნოემბერს**, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები“ და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი’’).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე აროშიძე**